სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 28

ქ.ბოლნისი **27.06.22 წ.**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ააიპ„სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი (მის: ქალაქი ბოლნისი კოსტ ავას ქ.№ 8) წარმოდგენილი დირექტორი **დავით ყიფშიძე** სახით (აქ და შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს„ლიდერს"-ის წარმომადგენელი დირექტორი ფიქრია მიქელაძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს დიპლომების მიწოდება (დანართი 1) შესაბამისად .

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 264 (ორას სამოცდაოთხი) ლარს.

3. საქონლის მიწოდების ვადა

3.1 „მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2022 წლის 1ივლისის ჩათვლით.

4. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონელი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მხრიდან შესაბამისი ანგარიშ - ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით, მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ ანგარიშწორების ანგარიშზე.
5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6. მხარეების ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს" გაწეული საქონლის ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2„მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" საქონლის მიწოდებისას მომსახურეობის გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

7. ფორს-მაჟორი

7.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წ 5აგვისტომდე.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კომპლექსის შესყიდვების კორდინატორი პეტრე ხუციშვილი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4 „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ააიპ„სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ს/კ 225394702

ბანკის კოდი TRESG22

ა/ნ ხაზინის ერთიანი ანგარიში

სახაზინო კოდი 748517501

Davit Kipshidze

Digitally signed by Davit Kipshidze
Date: 2022.06.27 15:07:49 +04'00'

დირექტორი: დ.ყიფშიძე

„მიმწოდებელი "

შპს,ლიდერს"

ს\კ 425364811

GE26BG0000000101473788

BAGAGE22

საქართველოს ბანკი

ქ.ბოლნისი კოსტავას ქ.№22

Pikria Mikeladze 10001047077

Digitally signed by Pikria Mikeladze
Date: 2022.06.27 19:53:12

დირექტორი: ფ.მიქელაძე

შპს ,, ლიდერს “
ს/კ 425364811
ფასების ცხრილი

CPV კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი
18530000	დიპლომი	88	3	264	ქ. ბოლნისი
სულ:				264	